17/01/2022

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით

image not found or type unknown

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გულითადად ვულოცავთ დაარსებიდან 100 წლისთავს. იგი ივ.ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის წიაღში ჩამოყალიბდა იმ მადლმოსილი პროფესორების თაოსნობითა და მონაწილეობით, რომელთაც დედა უნივერსიტეტს თავიდანვე მოუპოვეს სახელი და დიდება.

ტექნიკური უნივერსიტეტის წინსვლა მოკლე დროში მოხდა; მსოფლიო ამ მიმართულებით აღმავლობას განიცდიდა და, ბუნებრივია, ეს ჩვენს ქვეყანაშიც ჰპოვებდა თავის გამოძახილს.

საუკუნის მანძილზე სასწავლებელში მრავალი ცვლილება მოხდა, მას მრავალი ფაკულტეტი და განხრა დაემატა და მოიცვა თითქმის ყველა მიმართულება, მათ შორის საღვთისმეტყველო.

და თუ მესამე ათასწლეულის დადგომამდე საქართველო იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა, რომლის ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, ამ საქმეში ამ უნივერსიტეტს ლომის წვლილი აქვს შეტანილი.

მინდა დავლოცო მის კედლებში მოღვაწე და აწ უკვე გარდაცვლილი პროფესორ-მასწავლებლები და ყოფილი სტუდენტები და შევავედრო მათი უკვდავი სული ღმერთს, რათა უფალმა ისინი სავანესა მართალთასა დააწესოს.

ასევე ვლოცავ მოქმედ პედაგოგებსა და სტუდენტებს, მომსახურე პერსონალს, ამ უნივერსიტეტდამთავრებულ ყველა ადამიანს. თქვენ ჩვენი ქვეყნის იმედი ხართ. უფალმა შეგაძლებინოთ თქვენი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

გახსოვდეთ, ღვთის წინაშე არ არსებობს რანგირება თანამდებობების მიხედვით, არსებობს დაკისრებული პასუხისმგებლობა და მისი მეტ-ნაკლებად შემსრულებელნი. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ყველაზე დიდი რექტორის ფუნქციაა.

ბატონი დავით გურგენიძე, მართალია, ახლადარჩეული რექტორია, მაგრამ შეძლო მოკლე დროში ახალგაზრდების სიყვარულის მოპოვება. მინდა ვუსურვო მას სწავლების კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანა და მაღალპროფესიული კადრებით ქვეყნის გახარება.

ყველას კიდევ ერთხელ გლოცავთ და გილოცავთ ღირსახსოვარ იუბილეს.

გილოცავთ ქრისტეს შობის დიდებულ ზეიმს და ნათლისღების დამდეგ დღესასწაულს.

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

16 იანვარი,
თბილისი 2022წ.

patriarchate.ge